სოციალური მეწარმეობის ინიციატივა საქართველოში

Social Enterprise Initiative for Georgia

სოციალური მეწარმეობა საქართველოში

საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა

თბილისი 2020

სოციალური მეწარმეობა საქართველოში

საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა

ეკა დათუაშვილი
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი

კვლევა შექმნილია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის დაკვეთით, საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალიანსთან თანამშრომლობით და არასამეწარმეო სამართლის საერთაშორისი ცენტრის(ICNL) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და შესაძლოა არ ასახავდეს არასამეწარმეო სამართლის საერთაშორისი ცენტრის(ICNL) შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი ©
თბილისი 2020

შესავალი

სოციალური მეწარმეობა ახალი, მაგრამ საკმაოდ სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოში. მას უკვე ხელშესახები წვლილი მიუძღვის მწვავე საზოგადოებრივი გამოწვევების მოგვარებაში. თუმცა სოციალურ მეწარმეობას გაცილებით მეტი დამსახურება შეიძლება ჰქონდეს ქვეყნის განვითარებაში.

წინამდებარე მიმოხილვის მთავარი ამოცანაა საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების არსებული მდგომარეობის შესწავლა და სამოქმედო გარემოს ანალიზი.

მიმოხილვაში გაანალიზებულია საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოები საქმიანობის ტიპის, მიზნებისა და იურიდიული ფორმის ჭრილში. ცალკე თავი ეთმობა საარსებო გარემოს, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს საკანონმდებლო რეგულირებას, სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის არსებულ პრაქტიკასა და ქვეყანაში სექტორის მხარდამჭერი ორგანიზაციების აღწერას.

შინაარსი

შესავალი 2

ძირითადი დასკვნები 4

სოციალური მეწარმეობის განვითარების ისტორია საქართველოში 5

სოციალური მეწარმეობის განმარტება 5

სოციალური მეწარმეობის სექტორი საქართველოში 6

- სოციალური საწარმოების მიზნები 7
- სოციალური საწარმოები საქმიანობის ტიპის მიხედვით 7
- სოციალურის საწარმოების განაწილება იურიდიული ფორმების მიხედვით 7

სოცმეწარმეობის განვითარების საარსებო გარემო საქართველოში 8

- საკანონმდებლო გარემო 8
- სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერის არსებული პრაქტიკა 11
- მხარდამჭერი სტრუქტურები და ორგანიზაციები 13

ძირითადი დასკვნები:

- საქართველოში სოციალური მეწარმეობა ახალგაზრდა, სწრაფად განვითარებადი სექტორია, რომლის მიმართ ინტერესი სულ უფრო მეტად მზარდია ბიზნესკომპანიებისა და საზოგადოების მხრიდან. 100-ზე მეტი მოქმედი სოციალური საწარმოს საუკეთესო მაგალითები ნათლად აჩვენებს იმას, თუ როგორ შეიძლება საზოგადოებრივი გამოწვევების ეფექტურად მოგვარება;
- საქართველოში სოციალური მეწარმეობა არ არის განმარტებული არცერთ ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტში. ამ სფეროში მოქმედი ორგანიზაციები საკუთარი პროგრამებისთვის სოციალურ საწარმოს ინდივიდუალურად განმარტავენ;
- ამჟამად საქართველოს პარლამენტში განხილვის პროცესშია კანონპროექტი სოციალური მეწარმეობის შესახებ, რომელიც მოიცავს სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციონალიზაციისა და სოციალური მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერისთვის სამართლებრივ საფუძვლებს (სოციალური მეწარმეობის ცნება, სოციალური საწარმოს სტატუსის მიღება, ფუნქციონირებისთვის სავალდებულო მოთხოვნები და მართვის სპეციფიკა, სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო ხელშეწყობის საფუძვლები და სხვა);
- მიზნების მიხედვით, მოქმედი სოციალური საწარმოები მრავალფეროვანია, თუმცა მათ შორის ჭარბობს მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი საწარმოები;
- საქმიანობის ტიპის მიხედვით, საწარმოთა 57% ქმნის გარკვეულ პროდუქციას, ხოლო 43% სერვისის მიმწოდებელია;
- სამართლებრივი ფორმის მიხედვით, საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოები შემდეგი სახით ნაწილდება: 72 % ოპერირებს ა(ა)იპ იურიდიული ფორმით, 25 % არის რეგისტრირებული შპს-დ, ხოლო 3% კოოპერატივის ფორმით საქმიანობს ან სოციალურ ბიზნესს ახორციელებს სოციალური მეწარმე ინდმეწარმის სტატუსით;
- სახელმწიფოს მხრიდან (როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე) გვხვდება სექტორის მხარდაჭერის ცალკეული ინიციატივები, თუმცა არსებული პრაქტიკა ფრაგმენტულია და ცალკეული შემთხვევების სახე აქვს;
- საქართველოში სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერ ორგანიზაციებს შორის გვხვდება სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები, განსხვავებული მხარდაჭერის ფუნქციებით. მათ შორისაა: ტექნიკური მხარდაჭერის ფუნქციის მქონე შუამავალი ორგანიზაციები, როგორებიცაა: ინკუბატორები და აქსელერატორები; co-working სივრცეები; ჰორიზონტალური კავშირებისა და ინტერესთა დაცვის მიზნით შექმნილი წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია - სოციალურ საწარმოთა ალიანსი; აკადემიური სექტორის ორგანიზაციები. თუმცა ეს ინფრასტრუქტურა საკმაოდ მწირია და საჭიროებს შემდგომ განვითარებას.

სოციალური მეწარმეობის განვითარების ისტორია საქართველოში

სოციალური მეწარმეობა საქართველოში შედარებით ახალი კონცეფციაა და მისი განვითარება სულ რაღაც 10 წელს ითვლის. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფარგლებში სოციალური მეწარმეობის ცალკეული პრაქტიკული მაგალითები გაცილებით უფრო ადრე გვხვდება, სექტორის განვითარების მიზანმიმართული საქმიანობა 2010 წლიდან იწყება, როდესაც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა, ევროპის ფონდმა და ბრიტანეთის საბჭომ გააერთიანეს ძალისხმევა ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით. მას შემდეგ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში, აკადემიურ სექტორში, ახალგაზრდებში, მედიასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის სფეროს მიმართ ინტერესი წლიდან წლამდე იზრდება.

საქართველოში დღეს არსებული სოციალური საწარმოების საუკეთესო მაგალითები უკვე ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ეფექტურად დასაქმება და გაძლიერება ისეთი მოწყვლადი ჯგუფებისა, როგორებიცაა: შშმ პირები, ყოფილი მსჯავრდებულები, ხანგრძლივად დაუსაქმებლები; როგორ შეიძლება სოციალური სერვისების მიწოდება გახდეს გაცილებით უფრო ეფექტური, მაღალი ხარისხისა და მდგრადი (სტაბილური); როგორ შეიძლება მოშორებული რაიონებისა და სოფლების გამოცოცხლება, განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა, ტრადიციული რეწვისა და კულტურის შენარჩუნება, თუ გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარება ინოვაციური გზებით.

სოციალური მეწარმეობის განმარტება

საქართველოში სოციალური მეწარმეობა არ არის განმარტებული არცერთ ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტში. ამ სფეროში მოქმედი ორგანიზაციები მიმდინარე პროგრამების ფარგლებში (ამ პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით) დამოუკიდებლად განმარტავენ ცნებას.

> „სოციალური საწარმო არის ბიზნესპრინციპებით მოქმედი საწარმო, რომელსაც აქვს სოციალური მისია. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც იყენებს ბიზნესის მიდგომებს საზოგადოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად. ჩვეულებრივი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული საწარმოსაგან განსხვავებით, სოციალურ საწარმოს აქვს ორმაგი მიზანი: ეკონომიკური და სოციალური“.
>
> CSRDG,
> სოციალური მეწარმეობის პროგრამა

2018 წელს ინიცირებული კანონპროექტის - „სოციალური მეწარმეობის შესახებ“ - მიხედვით, რომელიც ამჟამად საქართველოს პარლამენტში განხილვის პროცესშია, სოციალური მეწარმეობა განიმარტება შემდეგნაირად: „სოციალური მეწარმეობა არის ამ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციული სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ემსახურება სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფას, მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებას, აგრეთვე სოციალური მიზნების მიღწევას განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და გარემოს დაცვის სფეროებში“.

სოციალური მეწარმეობის წინამდებარე მიმოხილვის მიზნებისთვის სოციალური მეწარმეობა განიმარტება ევროკავშირის კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ:

სოციალური საწარმო არის სოციალური ეკონომიკის ოპერატორი, რომლის მთავარი მიზანია სოციალური გავლენის შექმნა, ნაცვლად მფლობელებისთვის მოგების უზრუნველყოფისა. ის აწვდის

საქონელს ან მომსახურებას სამეწარმეო და ინოვაციური გზით და მოგებას, უპირველეს ყოვლისა, იყენებს სოციალური მიზნების მისაღწევად. მისი მართვა ხორციელდება გამჭვირვალედ, მაღალი პასუხისმგებლობით, თანამშრომელთა, მომხმარებელთა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობით.

სოციალური საწარმო არის ბიზნესი:

- რომელსაც აქვს საზოგადოებრივი ან სოციალური მიზნები, ხშირად სოციალური ინოვაციის მაღალი ხარისხით;
- რომელშიც მოგება უმეტესწილად რეინვესტირდება აღნიშნული სოციალური და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევაში;
- ორგანიზების ფორმა ან მფლობელობის სისტემა ასახავს საწარმოს მისიას, ეფუძნება დემოკრატიულ და თანამონაწილეობით პრინციპებს ან/და ფოკუსირებულია სოციალურ სამართლიანობაზე.

სოციალური საწარმოსთვის არ არსებობს ერთი იურიდიული ფორმა.[1]

საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სოციალური საწარმო შესაძლოა საქმიანობას ეწეოდეს როგორც სამეწარმეო იურიდიული პირის, ისე ა(ა)იპ-ის ფორმით;

შესაბამისად, თუკი საწარმო/ორგანიზაცია:

ა) ეწევა ბიზნესსაქმიანობას და პროდუქტის/სერვისის გაყიდვით იღებს შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს;

ბ) აქვს მკაფიოდ გამოხატული სოციალური ან გარემოსდაცვითი მიზანი;

გ) მოგების რეინვესტირებას უპირატესად ახდენს საწარმოში თავისი სოციალური მიზნების მისაღწევად/გასაზრდელად,

ის შეიძლება განვიხილოთ სოციალურ საწარმოდ. იმავდროულად, რამდენადაც დღეს საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არ არსებობს სოციალური საწარმოს განმარტება, მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაცია/საწარმო საკუთარ თავს უწოდებდეს სოციალურ საწარმოს.

სოციალური მეწარმეობის სექტორი საქართველოში

ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით შექმნილ მონაცემთა ბაზაში, რომელსაც სოციალურ საწარმოთა ალიანსი[2] აწარმოებს, 90-ზე მეტი სოცსაწარმოა აღრიცხული.

მათ მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

[1] https://ec.europa.eu/growth/sectors/social-economy/enterprises_en

[2] სოციალურ საწარმოთა ალიანსი - სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი, წევრობაზე დაფუძნებული ქოლგა ორგანიზაცია; დაფუძნდა 2016 წლის ნოემბერში. http://seageorgia.ge/

- საქართველოში მოქმედი **სოციალური საწარმოების მიზნები**



მრავალფეროვანია, მაგრამ, ჭარბობს დასაქმებისა და სიღარიბის დაძლევის მიზნით შექმნილი საწარმოები - 66%; სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას მიზნად ისახავს საწარმოთა 15%, განათლების მიზნით შექმნილია საწარმოთა 8% და ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის თვითრეალიზების ხელშეწყობის მიზნით საქმიანობს 8%. საწარმოების მხოლოდ 3,5% არის გარემოსდაცვითი მიზნებით შექმნილი.

- **საქმიანობის ტიპის მიხედვით**, სოციალურ საწარმოთა 57% ქმნის გარკვეულ პროდუქციას,



ხოლო 43% სერვისის მიმწოდებელია. ქართული სოციალური საწარმოების პროდუქცია საკმაოდ მრავალფეროვანია. საწარმოები ქმნიან ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოებს, მაღალი ხარისხის სამედიცინო ტექსტილის ნაწარმს, ტანსაცმელს, სამკაულებსა და აქსესუარებს, ტრადიციულ ნივთებს, სუვენირებს, შესაფუთ მასალას, საკვებ პროდუქტებს, ეტლებსა და დამხმარე საშუალებებს, კერამიკის ჭურჭელსა და დეკორატიულ ნივთებს, მოწნულ ავეჯს, ბავშვთა სათამაშო მოედნების ატრაქციონებსა და სხვ.

სოციალური საწარმოების მიერ შეთავაზებული სერვისები მრავალფეროვანიცაა: სოციალური სერვისები, სოციალური კაფეები, ქეითერინგი, ციფრული მომსახურება, გაყიდვების ხელშეწყობა, არაფორმალური განათლება, ეზოებისა და ბაღების მოვლა, ტურისტული სერვისები და სხვ.

- **იურიდიული ფორმების მიხედვით**, საქართველოში სოციალური საწარმოების უმეტესობა

ოპერირებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით - ა(ა)იპ. ამ რეალობას აქვს თავისი წინაპირობები. პირველი მიზეზი ისაა, რომ საქართველოში, სხვა ქვეყნების მსგავსად, სოციალური საწარმოს იდეა ყველაზე ხშირად მოდის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან, რომლებიც ცდილობენ, შეიმუშაონ ახალი სტრატეგიები თავიანთი სამიზნე

ჯგუფების წინაშე არსებული პრობლემების ეფექტური და მდგრადი მოგვარებისათვის. ამისათვის ისინი ირჩევენ ბიზნესმიდგომას. ასეთ შემთხვევებში იდეას ავითარებს და ახორციელებს საზოგადოებრივი ორგანიზაცია; ხოლო იმ დროს, როდესაც სოციალური ბიზნესი აღწევს განვითარების გარკვეულ დონეს და ეკონომიკური საქმიანობით შემოსავლები იზრდება, გვხვდება შემთხვევები, როდესაც ა(ა)იპ აფუძნებს სამეწარმეო იურიდიულ პირს (მაგ.: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას).

მეორე მიზეზი ა(ა)იპ ფორმის არჩევისა, განპირობებულია დონორების მოთხოვნებით. დღევანდელ საკანონმდებლო გარემოში, როდესაც არ არსებობს სოციალური საწარმოს განმარტება და სტატუსი, დონორებს, რომლებიც ფინანსურ მხარდაჭერას უწევენ სოციალური საწარმოების დაფუძნებასა და განვითარებას, ესაჭიროებათ სოციალურ მიზნებზე ორიენტირის დაცულობისთვის გარანტია. ეს კი ყველაზე კარგად შესაძლებელია ა(ა)იპ იურიდიული ფორმის ფარგლებში. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობით, სამეწარმეო სუბიექტზე და სამეწარმეო მიზნებისთვის გრანტის გაცემა დაუშვებელია (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, მაგ: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი; ინოვაციების სააგენტოს მიერ ინოვაციური პროექტის დასაფინანსებლად გრანტის გაცემა და სხვა). ამიტომ უმეტეს შემთხვევებში საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება შემოზღუდულია მხოლოდ ა(ა)იპ-ებისთვის და, შესაბამისად, საინიციატივო ჯგუფები საინტერესო სოციალური საწარმოს ინიციატივებით რეგისტრაციისას ამ ფორმას ირჩევენ.

შედეგად, შესწავლილი 90 საწარმოსგან 72 % ა(ა)იპ იურიდიული ფორმით ოპერირებს, 25 % არის შპს-დ რეგისტრირებული, 3% კოოპერატივის ფორმით საქმიანობს ან სოციალურ ბიზნესს სოციალური მეწარმე ინდმეწარმის სტატუსით ახორციელებს.

სოციალური მეწარმეობის განვითარების საარსებო გარემო საქართველოში

საკანონმდებლო გარემო

სოციალურ მეწარმეობას აქვს დიდი პოტენციალი, შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი ქვეყნის სოციალურ განვითარებაში, რადგან:

- სოციალური საწარმოები ავსებს იმ ცარიელ ადგილებს, სადაც სახელმწიფო და ბიზნესი ვერ უზრუნველყოფს საჭირო სერვისების/პროდუქტების მიწოდებას;
- ეხმარება სახელმწიფოს, მიაწოდოს სერვისები უფრო ხარჯთეფექტურად;
- ხელს უწყობს დასაქმებას იმ ჯგუფებისა, რომლებიც დასაქმების ბაზარზე ნაკლებად კონკურენტულია;
- არის სოციალური ინტეგრაციის მექანიზმი;
- შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი გარემოსდაცვითი, კულტურული, არაფორმალური განათლების სფეროებში;
- სიღარიბის დასაძლევად არის ეფექტური მექანიზმი.

თუმცა სექტორის შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში ხელშემწყობი გარემოს გაუმჯობესება, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია საკანონმდებლო რეგულირება. საქართველოს კანონმდებლობით, სოციალური მეწარმეობა და სოციალური საწარმო არ არის

განმარტებული. სოციალური მეწარმეობის რეგულირება საკანონმდებლო დონეზე მნიშვნელოვანია სექტორის შემდგომი განვითარებისთვის, კერძოდ:

- სანამ არ არის განმარტებული სოციალური მეწარმეობა, ქვეყანაში ვერ უმჯობესდება სოციალური მეწარმეობის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა;
- სახელმწიფო და ადგილობრივი არსებული პროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია სოციალური საწარმოების მხარდაჭერა, დეფინიციის არარსებობისას ბუნდოვანს ხდის/ართულებს სამიზნე სუბიექტების იდენტიფიცირებას; გარდა სახელმწიფო პროგრამებისა, სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით, დღეს საქართველოში რამდენიმე ორგანიზაცია და პროგრამა საქმიანობს. მნიშვნელოვანია, რომ ერთნაირად გვესმოდეს, რა ტიპის საწარმოები მოიაზრება სოციალური საწარმოების ქუდის ქვეშ;
- განმარტებისა და საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობის შემთხვევაში სახელმწიფო რეფორმების დაგეგმვისას არ ითვალისწინებენ სოციალური საწარმოების სპეციფიკას;
- დეფინიციის არარსებობა ხელს უშლის სხვა სექტორებსაც, განავითარონ მორგებული სერვისები და სოციალური მეწარმეობის წამახალისებელი ღონისძიებები; ამ პირობებში ფინანსური ინსტიტუტებისთვის რთულია სოციალური საწარმოების სპეციფიკაზე მორგებული მხარდამჭერი შეთავაზებების განვითარება;
- სოციალური მეწარმეობის თავისებურებების გაუთვალისწინებლობა საქართველოს კანონმდებლობაში გარკვეულ პრობლემებს ქმნის სოციალური მეწარმეობისთვის საგრანტო დაფინანსების მოპოვების კუთხითაც. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გრანტად ვერ ჩაითვლება სამეწარმეო მიზნებისთვის გადაცემული სახსრები. გარდა ამისა, გრანტის მიმღები ვერ იქნება სამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით არსებული სოციალური საწარმო (გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა, მაგ.: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი). ასეთი რეგულირება, ბუნებრივია, ხელს უშლის სოციალური მეწარმეობის განმახორციელებელი იურიდიული პირების ხელმისაწვდომობას საგრანტო დაფინანსებაზე;
- ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები, თავის მხრივ, ართულებს ფინანსების ხელმისაწვდომობას სოციალური საწარმოების დაფუძნებისა თუ საქმიანობისათვის;
- დეფინიციის გარეშე შეუძლებელია სექტორის სტატისტიკის წარმოება და, შესაბამისად, მისი როლისა და მნიშვნელობის შეფასება.

სოციალური მეწარმეობის სფეროში მოქმედი ორგანიზაციები შესაბამის საკანონმდებლო ინიციატივას 2015 წლიდან აქტიურად ლობირებენ. 2018 წლის ნოემბერში კი კანონპროექტი „სოციალური მეწარმეობის შესახებ“ (რომელიც მომზადებულია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა და იურისტ ლევან ალაფიშვილის ავტორობით) და რამდენიმე საკანონმდებლო აქტში ცვლილებების პროექტები ინიცირებულია 10 პარლამენტარის მიერ.[3] მიუხედავად იმისა, რომ მისი ინიცირებიდან დაახლოებით 18 თვეა გასული, კანონპროექტი ჯერ კიდევ პირველი მოსმენისთვის მოსამზადებლად წამყვანი კომიტეტის საკომიტეტო განხილვის ეტაპზეა. ამას, სავარაუდოდ, რამდენიმე მიზეზი აქვს. ერთი მხრივ, სოციალური მეწარმეობის კონცეფცია ჯერჯერობით კვლავაც ნაკლებადაა ცნობილი გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის და საკომიტეტო განხილვებისა თუ სამთავრობო სტრუქტურებთან ურთიერთობის პროცესში ბევრი კითხვა ჩნდება, რომლებიც საჭიროებს განმარტებას; ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოში თავად სექტორი ჯერჯერობით მცირე ზომისაა და ქვეყანაში არსებული მწვავე პრობლემებისა და

[3] https://info.parliament.ge/#law-drafting/16647

პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე მისი საჭიროებების პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენება და ადვოკატირება საკმაოდ რთულია.

საკანონმდებლო ინიციატივის ძირითადი საკითხები

პარლამენტში ინიცირებულ საკანონმდებლო პაკეტში სოციალური მეწარმეობის სტატუსის მარეგულირებელი მთავარი საკანონმდებლო აქტია „სოციალური მეწარმეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. იგი ქმნის სამართლებრივ საფუძვლებს სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციონალიზაციისა და სოციალური მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერისთვის (სოციალური მეწარმეობის ცნება, სოციალური საწარმოს სტატუსის მიღება, ფუნქციონირებისთვის სავალდებულო მოთხოვნები და მართვის სპეციფიკები, სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო ხელშეწყობის საფუძვლები და სხვა). იმავდროულად, ინიცირებულია ცვლილებების პროექტები რამდენიმე თანმდევ საკანონმდებლო აქტში. საკანონმდებლო ინიციატივის პაკეტი მოიცავს შემდეგ ძირითად კანონპროექტებს და საკითხებს:

„სოციალური მეწარმეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი:

1. განსაზღვრავს სოციალური მეწარმეობის ცნებას - სოციალური მეწარმეობა არის ამ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციული სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ემსახურება სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფას, მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებას, აგრეთვე სოციალური მიზნების მიღწევას განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და გარემოს დაცვის სფეროებში;
2. განსაზღვრავს სოციალური საწარმოს სტატუსის მინიჭების მექანიზმს და ადგენს, თუ რომელი სამართლებრივი ფორმის იურიდიულმა პირმა შეიძლება მიიღოს სოციალური საწარმოს სტატუსი - სოციალური საწარმოს სტატუსი შეიძლება მიიღოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულმა პირმა, რომელსაც აქვს სოციალური სამეწარმეო მიზნობრიობა და მას დამატებითი კრიტერიუმების დაკმაყოფილება არ მოეთხოვება. გარდა ამისა, სოციალური საწარმოს სტატუსი შეიძლება მიიღონ უკვე რეგისტრირებულმა ისეთმა სამეწარმეო იურიდიულმა პირებმა, როგორებიცაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი. იმავდროულად, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ სოციალური საწარმოსთვის დადგენილ კრიტერიუმებს;
3. ადგენს, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სოციალური საწარმო: ა) შექმნილია სოციალური თანასწორობის ხელშესაწყობად, მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებისთვის, აგრეთვე სოციალური მიზნების მისაღწევად განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და გარემოს დაცვის სფეროებში; ბ) ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და მისი შემოსავლების დიდ ნაწილს შეადგენს სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები; გ) მოგების არანაკლებ 70%-ის რეინვესტირებას ახორციელებს წესდებით გათვალისწინებული სოციალური მიზნების მიღწევისათვის წარმოებულ საქმიანობაში; დ) იმართება დემოკრატიული პრინციპების დაცვით და წესდებისა და საწესდებო მიზნების ცვლილება დასაშვებია ხმათა არანაკლებ 80%-ის უმრავლესობით; ე) პირდაპირ ან ირიბად არ არის დაკავშირებული ან დაქვემდებარებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოზე;
4. ადგენს განსაზღვრულ შეზღუდვებსა და მოთხოვნებს სოციალური საწარმოს სტატუსის მქონე იურიდიული პირებისათვის - დგინდება განსაზღვრული ვადა სტატუსის გაუქმების

შეუძლებლობისა და ამ პერიოდში სოციალური საწარმოს კრიტერიუმების ვერდაკმაყოფილებისას საწარმოს/მისი პარტნიორების პასუხისმგებლობის შესახებ;

5. სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის ფორმები - კანონპროექტი ითვალისწინებს სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის სტრატეგიის დამტკიცების ვალდებულებას. კერძოდ, მთავრობა ვალდებული იქნება, კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში დაამტკიცოს სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის სტრატეგია.

„გრანტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტი - ინიცირებული ცვლილების მიხედვით, გრანტი შეიძლება გაიცეს სოციალური მეწარმეობის მიზნებისთვის. შესაბამისად, გრანტის მიმღები შეიძლება იყოს სოციალური საწარმოს სტატუსის მქონე იურიდიული პირი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი - ინიცირებული ცვლილების მიხედვით, სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები (ელექტრონული ტენდერი და სხვა) არ გავრცელდება სოციალური საწარმოების განვითარების პროექტებზე (კერძოდ, შესყიდვების წესები არ გავრცელდება სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ შესყიდვებზე, არც სოციალური საწარმოსაგან 60000 ლარამდე ღირებულების საქონლის/მომსახურების შესყიდვისას).

ცვლილებები სხვა თანმდევ საკანონმდებლო აქტებში - გარკვეული თანმდევი ცვლილებები შედის „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერის არსებული პრაქტიკა

საქართველოში არ არსებობს სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება. როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე გვხვდება სექტორის მხარდაჭერის ცალკეული ინიციატივები, თუმცა არსებული პრაქტიკა ფრაგმენტულია და ცალკეული შემთხვევების სახე აქვს. აღნიშნულის მაგალითებია:

- **სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი"**

2018 წლამდე საქართველოს საჯარო სექტორში სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით, უპირობო ლიდერი იყო **სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი".** 2013-2016 წლებში ფონდმა სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 42 პროექტი დააფინანსა.

სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო

2019 წელს, „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ფონდისა და

ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე კიდევ ორი სამთავრობო სტრუქტურის გაერთიანების შედეგად შეიქმნა საქართველოს მთავრობის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო, რომელიც აღნიშნული ერთეულების უფლებამონაცვლეა.[4] სააგენტოს დებულებაში აღარ არის სოციალური მეწარმეობა ცალკე პრიორიტეტად ნახსენები, თუმცა სამეწარმეო უნარების განვითარება ახალგაზრდებში პრიორიტეტებს შორისაა.[5] ამასთანავე, 2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის პროექტის მიხედვით,[6]

სამეწარმეო უნარების განვითარება ახალგაზრდებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ხოლო მოსალოდნელი *შედეგი 4.5* „ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის დონე ამაღლებულია“ - მისაღწევად განსახორციელებელ ღონისძიებებს შორის აღნიშნულია: „სოციალური მეწარმეობის კუთხით კი საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესება, ხელშემწყობი პროექტების ინიცირება და მხარდაჭერის გაძლიერება, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა და სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მიმართულების განვითარებას ქვეყანაში“.

- **სამთავრობო სტრატეგია**

სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდობის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ სამთავრობო სტრატეგიის განმსაზღვრელ დოკუმენტში - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისათვის“[7] - ახალგაზრდულ პოლიტიკასა და ინოვაციებთან დაკავშირებით სოციალური მეწარმეობის შესახებაც გვხვდება ჩანაწერი, კერძოდ, ქვეთავში - „4.1.6 ახალგაზრდობის პოლიტიკა და ინოვაციები“ - აღნიშნულია:

„სახელმწიფო განახორციელებს ახალგაზრდობის სფეროში ხელშემწყობ ღონისძიებებს; სოციალურ მეწარმეობაში ჩართვის გზით დაეხმარება ახალგაზრდული კავშირების გაძლიერებას”;

„გაიზრდება ახალგაზრდული პროექტების მასშტაბები და არასამთავრობო სექტორი აქტიური მონაწილეობით მხარს დაუჭერს სამოქალაქო ჩართულობასა და სოციალურ მეწარმეობას“.

- **დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო**

სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების შესაბამისად, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქციაა, ყოფილი პატიმრების დასაქმების მიზნით, სოციალური საწარმოების შექმნისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა.[8]

---

[4] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4561526?publication=0

[5] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 აგვისტოს N411 დადგენილება, სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4642829?publication=1

[6] http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/sportisa-da-axalgazrdul-saqmeta-komiteti-1155/saqartvelos-axalgazrduli-politikis-koncefcia-2020-2030-wlebistvis

[7] https://mof.ge/images/File/BDD-new/19-22-BDD-wardgena.pdf)

[8] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N485 ბრძანება (სააგენტოს დებულება): https://matsne.gov.ge/ka/document/view/4764384?publication=0

- **მუნიციპალიტეტები**

სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებზე ჩანაწერები ადგილობრივი ხელისუფლების სამართლებრივ დოკუმენტებშიც გვხვდება, მაგ.:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად (2017 წლიდან 2020 წლის ჩათვლით) გვხვდება ქვეპროგრამა „შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება“, რომელშიც აღნიშნულია: „შშმ პირების შესაძლებლობების განვითარებისა და რეალიზებისათვის . . . უპირატესობა მიენიჭება სოციალური მეწარმეობის განვითარებასა და შშმ პირების მიერ შემოსავლების გამომუშავებაზე ორიენტირებულ პროექტებს“.[9]

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2017 წლიდან რეგულარულად არის გათვალისწინებული ქვეპროგრამა „სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობისათვის.[10]

მცხეთა-მთიანეთის 2016-2021 წლების განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში[11] სოციალური მეწარმეობის განვითარება - „ეკონომიკის ინოვაციური დარგების განვითარების ხელშეწყობა და ინვესტიციების მოზიდვის“ (მიზანი 6) - ერთ-ერთი ამოცანაა.

მხარდამჭერი სტრუქტურები და ორგანიზაციები

საქართველოში სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერ ორგანიზაციებს შორის გვხვდება სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები, განსხვავებული მხარდაჭერის ფუნქციებით.

ტექნიკური მხარდაჭერის ფუნქციის არიან შუამავალი ორგანიზაციები, როგორებიცაა: ინკუბატორები და აქსელერატორები; co-working სივრცეები; ჰორიზონტალური კავშირებისა და ინტერესთა დაცვის მიზნით შექმნილი წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია და აკადემიური სექტორის ორგანიზაციები. თუმცა ეს ინფრასტრუქტურა საკმაოდ მწირია და საჭიროებს შემდგომ განვითარებას.

ტექნიკურ მხარდაჭერას სოციალურ მეწარმეებს (მათზე მორგებული ტრენინგებისა და საკონსულტაციო მომსახურების სახით) საქართველოში რამდენიმე ორგანიზაცია სთავაზობს, ესენია: *საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი,* რომელიც 2010 წლიდან წარმოადგენს სექტორის მხარდამჭერ სტრუქტურას მრავალფეროვანი სერვისით, როგორებიცაა: ტრენინგები და კონსულტაციები, ფინანსური მხარდაჭერა, ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება, ხელშემწყობი გარემოს შექმნისათვის ლობირება და სხვა; *სოციალურ საწარმოთა ალიანსი* - სექტორში წევრობაზე დაფუძნებული ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც სოციალურ საწარმოთა და სოციალურ მეწარმეთა შორის ჰორიზონტალური კავშირების გაღრმავებას, ურთიერთმხარდამჭერი მექანიზმების ამოქმედებასა და სექტორის პოპულარიზაციას უწყობს ხელს; *სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი* - დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს

[9] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4740212?publication=0
[10] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4760966?publication=0
[11] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3337546

უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციებითა და მუშაობს სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესებაზე.

აკადემიურ სექტორში სოციალური მეწარმეობის სასწავლო კურსი პირველად 2019 წელს გაჩნდა, როდესაც *ილიას უნივერსიტეტის* ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე დაინერგა სოციალური მეწარმეობის პრაქტიკული კურსი.[12]

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა სოციალური საწარმოების განვითარებისთვის რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად. საქართველოში ამჟამად მოქმედი სოციალური საწარმოების დიდი ნაწილი დონორი ორგანიზაციების სასტარტო ფინანსური დახმარებით შეიქმნა. ადგილობრივი და საერთაშორისო სხვადასხვა ორგანიზაციის პროექტების მხარდაჭერით, სოციალური მეწარმეობის დაფინანსებაში საერთაშორისო დონორთაგან განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის ევროკავშირს. იმავდროულად, სექტორის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია „პური მსოფლიოს“ (Bread for the World BFtW), შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოსა (Swedish International Development Cooperation Agency (Sida) და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Danish International Development Agency DANIDA) მიერ მხარდაჭერილი პროგრამები.

ცალკე უნდა აღინიშნოს საქართველოს ბანკის ფონდი „სიცოცხლის ხე“, რომლისთვისაც სოციალური მეწარმეობა არის პრიორიტეტული სფერო და უკვე 3 წელია საგრანტო კონკურსებით მხარს უჭერს ახალი სოციალური საწარმოების შექნას ან არსებულ სოციალურ საწარმოებში პროდუქციის ახალი ხაზების განვითარებას.

სოციალური საწარმოებისათვის ნაკლებადაა ხელმისაწვდომი ტრადიციული ბიზნესისთვის შესაძლებელი ფინანსური რესურსები. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალურ საწარმოთა უმეტესობა ოპერირებს ა(ა)იპ-ის სტატუსით. ბიზნესსესხების მიღება ა(ა)იპ-ისთვის კი საბანკო პროცედურების გამო თითქმის შეუძლებელია. მეორე მიზეზი თავად სოციალური მეწარმეობის ორმაგი ბუნებიდან გამომდინარეობს: სოციალურ საწარმოში სოციალური მიზნის მისაღწევად ხარჯების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ე.წ. სოციალურ ხარჯებზე, რომლებიც აუცილებელია სოციალური მიზნის მისაღწევად. ამის გამო საწარმოს მოგება შედარებით მცირეა (ან ხშირად მოგების ზღვარზეც კი საქმიანობს საწარმო, თუ სოციალური შედეგები ხელშესახებია). ეს კი კრედიტის გასტუმრების შესაძლებლობებისა და რისკების შეფასებისას სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორია საწარმოსათვის.

გარდა აღნიშნულისა, ფინანსების ხელმისაწვდომობისთვის დამატებით ბარიერია ისიც, რომ საკანონმდებლო სივრცეში არ არის განმარტებული სოციალური მეწარმეობა. ეს, თავის მხრივ, იწვევს იმას, რომ: ა) ქვეყანაში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამების შესაძლებლობებით (როგორც სახელმწიფო, ისე დონორების) სოციალური საწარმოები უმეტესწილად ვერ სარგებლობენ; ბ) სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე მიმართული ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამები არის ფრაგმენტული და არასაკმარისი; გ) საფინანსო ინსტიტუტებისთვის რთულია სოციალური საწარმოების სპეციფიკაზე მორგებული მხარდამჭერი შეთავაზებების განვითარება და სხვ.

ფინანსების ხელმისაწვდომობის შეფასებისას ცალკე უნდა აღინიშნოს სოციალური საწარმოებისათვის კრისტალის სპეციალური შეთავაზება - „სოციალური კრედიტი“, რომელიც კომპანიის CSR პროგრამის ნაწილია და ითვალისწინებს ამ სექტორის სპეციფიკას და უპრეცედენტოდ შეღავათიანი პირობებით სთავაზობს სოციალურ საწარმოებს საკრედიტო

[12] https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/bte/siaxleebi-273/socialuri-mewarmeobis-praqtikuli-kursis-shesaxeb.page

პროდუქტს.[13] თუმცა ეს ჯერჯერობით ერთადერთი მსგავსი შესაძლებლობაა სოციალური საწარმოებისათვის საქართველოში.

სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი ორგანიზაციები წარმოდგენილია ცხრილში #1.

ცხრილი #1

სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი ორგანიზაციები:

ორგანიზაციის დასახელება	**ორგანიზაციის ტიპი**	**სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული საქმიანობა**
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG)	ა(ა)იპ	სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა - მიზანია სოციალური მეწარმეობის ცნების დამკვიდრება და პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა საქართველოში. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 4 ტიპის საქმიანობა: - ფინანსური მხარდაჭერა (დამწყები და მოქმედი სოციალური საწარმოებისათვის); - ტრენინგები და კონსულტაციები (სოციალური მეწარმეობის ლაბორატორია; მორგებული ტექნიკური მხარდაჭერა; მოქმედი სოციალური საწარმოების საქმიანობაზე მორგებული ტრენინგები); - ეკოსისტემის განვითარება (ადვოკატირება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა; კავშირ-ურთიერთობების განვითარება); - კონცეფციის პოპულარიზაცია (ახალგაზრდული პროგრამა; კამპანიები; გამოფენა/გაყიდვები; გამოცემები). www.csrdg.ge; www.segeorgia.org
სოციალურ საწარმოთა ალიანსი (SEA)	ა(ა)იპ	სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი, წევრობაზე დაფუძნებული ქოლგა ორგანიზაცია, მიმართულებების შემდეგი პრიორიტეტებით: - სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა (მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირება და ლობირება); - სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაცია; - სოციალურ საწარმოთა მდგრადობისა და ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა (მათ შორის, გაყიდვებისა და პროდუქციის განვითარებისა); - წევრ სოციალურ საწარმოთა წარდგენა მესამე პირებთან (მათ შორის, სამინისტროებთან, კერძო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან);

[13] https://crystal.ge/ka/257/social-ntrepreneurship

		- სოციალურ მეწარმეებსა და სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს შორის ეფექტური დიალოგის ხელშეწყობა; - სოციალურ საწარმოებს შორის ურთიერთდახმარების ჰორიზონტალური სქემის განვითარება; - სოციალურ საწარმოებს შორის თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაზიარების ახალი მექანიზმების ამოქმედება; - უცხოეთში მოქმედ სოციალურ საწარმოებსა და მათ გაერთიანებებთან დაკავშირება და თანამშრომლობა; - საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელება. www.seageorgia.ge
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI)	ა(ა)იპ	საქმიანობს სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო რეგულირების გაუმჯობესების მიმართულებით და დაინტერესებულ პირებს სთავაზობს იურიდიულ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურებასა და ტრენინგებს.
Impact Hub	ა(ა)იპ	საქართველოში ყოველწლიურად ახორციელებს საერთაშორისო კონკურსს Social Impact Award, რომლის მიზანია ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაცია და ჩართვა.
ევროპის ფონდი	ა(ა)იპ	ფინანსურად და საკონსულტაციო მომსახურებით მხარს უჭერს მოქმედ სოციალურ საწარმოებს; წელიწადში ერთხელ კონკურსის წესით შეარჩევს სამიზნე სოციალურ საწარმოებს.
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ	საქართველოს აკადემიურ სივრცეში პირველად დაინერგა სოციალური მეწარმეობის პრაქტიკული კურსი, რომელიც 2019-2020 წლის შემოდგომის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განხორციელდა. სასწავლო კურსი წარიმართა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) და ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის (BERI) წარმატებული თანამშრომლობის შედეგად.
არბაითერ სამარიტერ ბუნდი (ASB Georgia)	საერთაშორისო ორგანიზაცია	მხარს უჭერს საქართველოში არსებული სოციალური სერვისების მიმწოდებელი სოციალური საწარმოების განვითარებასა და გაძლიერებას.
კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)	ა(ა)იპ	CENN 2020-2022 წლებში ახორციელებს პროექტს - „სოციალური მეწარმეობა მწვანე ზრდისთვის“. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის მიზანია ახალგაზრდების დასაქმებისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა სოციალური მეწარმეობის გზით.[14]

[14] http://environment.cenn.org/ge/

Mercy Corps	საერთაშორისო ორგანიზაცია	2020-2022 წლებში განახორციელებს პროექტს ევროკავშირის EU4Youth პროგრამის ფარგლებში - „სოციალური მეწარმეობა სომხეთსა და საქართველოში“. პროგრამის მიზანია სომხეთსა და საქართველოში 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალის გაძლიერება სოციალური მეწარმეობის სფეროში.[15]
საქართველოს ბანკის ფონდი „სიცოცხლის ხე“		საგრანტო კონკურსის გზით წელიწადში 5 სოციალური საწარმოს დაფინანსებისათვის გამოყოფს საფონდო ბიუჯეტს; აფინანსებს სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს.[16]
კრისტალი		სოციალურ მეწარმეებს სთავაზობს საჭიროებებზე მორგებულ მოქნილ საკრედიტო პროდუქტს - „სოციალური კრედიტი“.[17]

[15] http://www.mercycorps.ge/index.php/ongoing-projects/ongoing-projects/24-eu4youth-seag/45-eu4youth-seag-overview
[16] https://tree.ge/news-item/104/
[17] https://crystal.ge/ka/257/social-ntrepreneurship

სოციალური მეწარმეობა საქართველოში
საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი ©
თბილისი 2020